15.06.2016

**სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების**

**2015 წლიური გამოკვლევის ძირითადი შედეგები**

***<u>სასაკლაოები</u>***

2015 წელს საქართველოში 87 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 17,2% მდებარეობს ქვემო ქართლში, 17,2% - იმერეთში, 17,2% - შიდა ქართლში, 17,2% - კახეთში, 9,2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დანარჩენი 22,0% - სხვა რეგიონებშია განთავსებული:




2015 წლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 240,6 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 68,0% მსხვილფეხა, ხოლო 32,0% - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობამ 7217,1 ათასი ერთეული შეადგინა.

სასაკლაოების მიერ 2015 წლის განმავლობაში 27466,4 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 53,5% მოდის მსხვილფეხა

რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 36,6% - ფრინველის, 9,5% - ღორის, 0,4% - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენ სახეობას უმნიშვნელო წილი ჰქონდა.

2015 წლის განმავლობაში დაკლული პირუტყვიდან 1324,6 ტონა შესყიდული იყო სასაკლაოს მიერ, საიდანაც 89,4% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, ხოლო დანარჩენი - ღორის, თხისა და ცხვრის ხორცზე. ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა - 24,5 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა - 8,6 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა - 23,5 ლარი.

2015 წლის განმავლობაში, სასაკლაოებში მომსახურება გაეწია 29,9 ათას პირს, საიდანაც 46,7% შინამეურნეობებს (ოჯახურ მეურნეობებს) წარმოადგენდნენ. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალოთვიურმა რაოდენობამ 777 კაცი შეადგინა.

სასაკლაოების უმრავლესობა (56.6%) ნაწილობრივ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 36,1% აღჭურვილია სრულად, ხოლო 7,2% არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სასაკლაოების 61,6% არ სარგებლობს სესხით, ხოლო 38,4%-ს აღებული აქვს სესხი სხვადასხვა მიზნით: 81,8% - ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, 3,8%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის და 15,2%-ს როგორც ძირითადი, ისე  საბრუნავი კაპიტალისათვის.

სასაკლაოების 17% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე კომუნალური გადასახადების სიდიდე ახდენს. სასაკლაოების 15,2% მნიშვნელოვან ფაქტორად შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობას ასახელებს, 14,4% - თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 13,5%-ის აზრით კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა, 13,4%-ის აზრით კი - სუსტი კავშირი მწარმოებლებთან და სახელმწიფო გადასახადების სიდიდე. სასაკლაოების 13,2%-ისთვის კონკურენტუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა.

***<u>სამაცივრე მეურნეობები</u>***

2015 წელს საქართველოში 59 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლსა (33,9%) და ქ. თბილისში (18,6%) იყო განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობების 13,6% მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, 11,9% - კახეთში, 8,5% - იმერეთში, 10,2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო დარჩენილი 3,4% - სხვა რეგიონებშია განთავსებული:




2015 წლის განმავლობაში სამაცივრეებში მომსახურება გაეწია 8078 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია 536 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 1168 კაცი შეადგინა.

2015 წლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 245,7 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 48,4% - ქათმის ხორცი/ქათმის ბარკალი. 22,4% მარცვლეული და ბურღულეული, 13,6% - ხორცი/ხორცპროდუქტები, 5,9% - თევზი, 4,7% - ხილი და ხილბოსტნეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:




სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2015 წლის განმავლობაში შესყიდულია 15,7 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 13,7 მლნ ლარი შეადგინა.

2015 წლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 67,5 მლნ ლარის ღირებულების (20.3 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (39,3%) იყო იმპორტირებული. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის 41,6% მოდიოდა ხილზე და ბოსტნეულზე, 31,6% - ხორცზე და ხორცპროდუქტებზე. ადგილობრივი წარმოშობის (საკუთარი წარმოების) პროდუქციაში მოცულობის მიხედვით ჭარბობდა ქათმის ხორცი/ქათმის ბარკლები (რომელზეც მოდიოდა სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 88,7%).

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 16,2% უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული (ხილი და ბოსტნეული).

სამაცივრე მეურნეობების 23,1% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 63,5% სრულად, ხოლო 13,5% საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 49,1%. აქედან უმრავლესობას (64,3%) სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 28,6%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 7,1%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

სამაცივრე მეურნეობების 15,5% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა ახდენს. 15,1% მნიშვნელოვან ფაქტორად კომუნალური გადასახადების სიდიდეს ასახელებს, 14,4%-ის აზრით კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს სახელმწიფო გადასახადების სიდიდე, 14,2% - ამის მთავარ მიზეზად შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობას მიიჩნევს, 14,0% - თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 13,6% - სუსტ კავშირს მწარმოებლებთან, 13,1%- მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას ასახელებს.

***ელევატორები***

2015 წელს საქართველოში 37 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც (59,5%) ქვემო ქართლის რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 13,5% ფუნქციონირებს ქ. თბილისში, 10,8% - შიდა ქართლში, 5,4% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:




გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2015 წლის განმავლობაში ელევატორებში მომსახურება გაეწია 130 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 67 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 995 კაცით განისაზღვრა.

2015 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 743,3 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 92,2%-ს წარმოადგენდა ხორბალი, 3,2%-ს სიმინდი, 2,7%-ს ფქვილი, 1,3%-ს - ალაო, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:




2015 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 167,8 მლნ ლარის ღირებულების 263,1 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 81,7% იყო ადგილობრივი და მისი უდიდესი ნაწილი მოდის წარმოებულ ფქვილზე.

მომსახურების საფასურმა 1,4 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო გადამუშავებასა და შენახვაზე გაწეულმა დანახარჯებმა 985,0 ათასი ლარი.

2015 წლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდული იმპორტირებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი ხორბალზე მოდიოდა - 96,4%.

ადგილობრივი წარმოშობის პროდუქციაში მოცულობის მიხედვით ჭარბობდა ფქვილი (რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 86,4%) და ხორბალი (12,5%),

ელევატორების 16,7% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 27,8% - ნაწილობრივ, ხოლო 55,6% საერთოდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

სესხით სარგებლობს ელევატორების 29,7%. აქედან 18,2%-ს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის (ახლის შეძენის ან არსებული გაუმჯობესების მიზნით), 72,7%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 9,1%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

ელევატორების 25,5% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს. 14,4% მნიშვნელოვან ფაქტორად ფინანსურ რესურსებზე სუსტ ხელმისაწვდომობას ასახელებს, 12,4%-ის აზრით კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს სახელმწიფო გადასახადებისა და კომუნალური გადასახადების სიდიდე, 12,1% - მთავარ მიზეზად თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 11,7% - მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას, ხოლო 11,4% - მწარმოებლებთან სუსტ კავშირს მიიჩნევს.

**წყარო:** სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების სტატისტიკური გამოკვლევა.

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

**საკონტაქტო პირები:**

**გოგიტა თოდრაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gtodradze@geostat.ge**

**მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge**